პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 117 (4627)

1972 წ. 17 ივნისი, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე



მოსწავლეთა რესპუბლიკური...



## 50-50 ქულა დააგროვეს

აკრობატთა შეჯიბრების საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა თბილისის ნაკრებმა (818,71 ქულა). II ადგილზე გავიდნენ აფხაზეთის (728,58), III — აჭარის (708,945) წარმომადგენლები.

მოკრივეთა გუნდურ ასპარეზობაში I-II ადგილები გაინაწილეს თბილისისა და აფხაზეთის კოლექტივებმა (50-50 ქულა). III ადგილზეა ქუთაისის ნაკრები (40).

წყალში მხტომელთა საერთო გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო თბილისის ნაკრები. II ადგილზე გავიდნენ აფხაზეთის წარმომადგენლები, III — ქუთაისელები.

## რეიკიავიკში გამგზავრების წინ

მოსკოვი, 16 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში, საბჭოთა დიდოსტატი ბ. სპასკი 21 ივნისს რეიკიავიკში მიემგზავრება მსოფლიო პირველობაზე ამერიკელ დიდოსტატ რ. ფიშერთან მატჩის სათამაშოდ. ეს გაიგეს საბჭოთა და უცხოელმა ჟურნალისტებმა და სპასკის სთხოვეს პრეს-კონფერენცია გაემართა.

და აი, ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში დღეს ეს შეხვედრა მოეწყო.

— ჩემი აზრით, მომავალი მატჩი რეიკიავიკში, საჭადრაკო ხელოვნების თვალსაზრისით, ძალიან საინტერესო იქნება, — თქვა სპასკიმ.

— თქვენი არჩევანი რომ ყოფილიყო, მსოფლიო ჩემპიონის წოდების პრეტენდენტად ვის აირჩევდით?

— უეჭველად ფიშერს. მასზე, როგორც მოჭადრაკეზე, მე ძალიან დიდი შეხედულებისა ვარ. იგი ბრწყინვალე დიდოსტატი გახლავთ და მომავალი მატჩი ჩემთვის დიდი დღესასწაულია, თუმცა, ცხადია, ვერ ვიწინასწარმეტყველებ, როგორ წავა საქმე.

— სხვა პრეტენდენტებთან ფიშერის მატჩების შედეგები ჭადრაკის ისტორიაში უპრეცედენტოა. როგორ ახსნით მათ?

— ფიშერი თავის მეტოქეებზე ძლიერი იყო.

— ანიჭებთ თუ არა მნიშვნელობას მატჩისთვის ფიზიკურ მომზადებას?

— არანაკლებს, ვინემ სპეციალურ მომზადებას.

— სპორტის რომელი სახეობები გიტაცებთ?

— ბოლო დროს — ჩოგბურთი. ძალიან კარგად ჯერ კიდევ ვერ ვთამაშობ, მაგრამ „თავს ვიკლავ".

— ფიშერთან მატჩისთვის მზადებისას თუ გაითვალისწინეთ მისი ძლიერი და სუსტი მხარეები?

— ნება მომეცით, ამ შეკითხვაზე არ გიპასუხოთ. ნუ ხომ მაქვს პროფესიული საიდუმლოების უფლება?

— ფიშერს მუდამ თან დააქვს თქვენი ყველა პარტიის კრებული. თქვენ თუ გაქვთ მისი ყველა პარტია? — ჰკითხა სპასკის ერთ-ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა.

— რა თქმა უნდა, მაქვს.

— გვიამბეთ მატჩისთვის თქვენი სპეციალური მომზადების შესახებ.

— მატჩის შემდეგ აუცილებლად გიამბობთ, — ღიმილით უპასუხა ჩემპიონმა.

— რას იტყვით ფიშერის განცხადებაზე, რომ იგი ნაღდად გაიმარჯვებს რეიკიავიკში?

— ყველას, მათ შორის, ცხადია, ფიშერსაც აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება.

— ფიშერი ამბობს, რომ საბჭოთა მოჭადრაკეები მუდამ ცდილობენ უხიამოვნება მიაყენონ მას. მართლა ასეა? — იკითხეს ამერიკელმა ჟურნალისტებმა.

— მე ასე არ ვფიქრობ, ფიშერის განცხადება კი ფაქტებით არ დასტურდება. ჩემთვის ამგვარი განცხადებები საერთოდ გაუგებარია.

ჟურნალისტების თხოვნით სპასკიმ ცოტა საკუთარ თავზეც ილაპარაკა. იგი 35 წლისაა. ჭადრაკით 9 წლიდანაა გატაცებული. 18 წლის ასაკში დიდოსტატი გახდა. ცოლიანია. ჰყავს ქალიშვილი ტანია, ბიჭუნას — ვასიას კი 5 წელი ზუსტად მატჩის დაწყების დღეს უსრულდება.

სპასკიმ დამსწრეთ უთხრა, რომ მასთან ერთად რეიკიავიკში წავლენ საერთაშორისო დიდოსტატები ე. გელერი (სეკუნდანტი), ნ. კროგიუსი და საერთაშორისო ოსტატი ი. ნეი.

პრეს-კონფერენციაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, ე. გელერი, სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე, საერთაშორისო დიდოსტატი ი. ავერბახი, სსრ კავშირის საჭადრაკო კლუბის დირექტორი ვ. ბატურინსკი.

## მეცამეტე პარტია

**ნ. გაფრინდაშვილი — ა. კუშნირი**

სიცილიური დაცვა

**1. e4 c5 2. მf3 e6 3. d4 cd 4. მ:d4 მc6 5. მc3 d6 6. კe2 მf6 7. კe3 კe7 8. f4 კd7 9. 0—0 0—0 10. მფh1**

გაფრინდაშვილი სიცილიური დაცვის შევენინგენის კლასიკურ სისტემას თამაშობს.

**10. ... a6 11. კd3 b5 12. ლf3**

ბრძოლა ცნობილი ქარგით ვითარდება: თეთრები იერიშს ამზადებენ მეფის ფრთაზე, შავები — ლაზიერის ფრთაზე.

**12. ... მ:d4 13. კ:d4 კc6 14. ლh3 g6**

როგორც ჩანს, შავები იძულებული არიან დაასუსტონ თავიანთი მეფის ფრთა. ამიერიდან შავები ფხიზლად უნდა იყვნენ, რომ მეფის ამ დასუსტებულმა პოზიციამ არ დააზარალოს.

**15. ეae1 b4 16. მd1 მh5**

კუშნირი მარჯვედ თამაშობს. მან გამოიანგარიშა, რომ 17. f5 საშიში არ არის შემდეგი ვარიანტის გამო: 17. ... e5 18. კe3 მf4 19. კ:f4 ef 20. ე:f4 კg5 აქტიური დაცვით. შეიძლება სხვა გაგრძელებაც, მაგრამ შავები ყველგან ახერხებენ დაცვის ორგანიზებას.

**17. მe3 კf6**

ცუდია 17. ... მ:f4 18. ე:f4 e5 19. მf5-ის გამო. კუშნირის მიზანია თეთრების შემტევი ფიგურების გაცვლა.

**18. კ:f6 ლ:f6 19. e5 ლe7**

აგებს 19 ... მ:f4 20. მg4! მ·h3 21. მ:f6+ მფg7 22. ეe3 მg5 23. h4. ჯობდა 19. ... de 20. fe ლg5 21. მg4 ეad8 მტკიცე დაცვით.

**20. მg4 მფh8**

კუშნირი კორჩნოის სტილში თამაშობს. მას არ აშინებს 21. f5, რასაც მძაფრი კომბინაციური თამაში მოჰყვება. მაგალითად, 21 ... ef 22. ე:f5 gf 23. ლh5. მაგრამ გაფრინდაშვილი თამაშის მშვიდობიან გაგრძელებას ამჯობინებს. იგი მატჩს იგებს და ზედმეტ რისკს ერიდება. მართალია, ბრძოლა დაძაბულად მიმდინარეობს, მაგრამ კომბინაციური გართულებანი აღარ არის.

**21. ed ლ:d6 22. მe5 კb7 23. ლh4 მფg7 24. კe2 მf6 25. კf3 კ:f3 26. ე:f3 ლd2 27. ლf2 ლd5**

ენდშპილი კუშნირს ხელს არ აძლევს. მას მხოლოდ რთული თამაში სჭირდება მატჩში უარყოფითი ანგარიშის გამო.

**28. a3 a5 29. ab ab 30. ეb3 ეfb8 31. ეd3 ლb5 32. ეed1 ეc8 33. ლd4 ლc5**

კუშნირი მაინც იძულებულია ენდშპილში გადავიდეს: მის მეფეს სერიოზულად დაემუქრნენ.

**34. g3 ლd5+ 35. ლ:d5 მ:d5 36. ეc1 f6 37. მf3 მფf7 38. მd4 ეc4 39. ეe1 ეa6 40. ეe2 ეb6 41. მფg2**

აქ პარტია გადაიდო. კუშნირმა სვლა ჩაიწერა. პოზიცია თანაბარია, მაგრამ კუშნირს ყაიმი არ სურს და განაგრძობს მოგების გზების ძებნას.

**41. ... ეd6** (ჩაწერილი სვლა) **42. მb5 ეd8 43. მფf3 h6 44. h4 ეc5 45. მd4 მc7 46. მb3 ე:d3+ 47. cd ეd5 48. d4**

სწორი იყო 48. მფe3 მერე ეტლის c ვერტიკალზე გადაყვანით. ახლა კუშნირი e პაიკს თავს ცხსნის და თეთრებს მეფით მანევრირება უჭირთ.

**48. ... მb5 49. მფe3 g5**

კუშნირს რომ 49. ... მd6 ეთამაშა, გაფრინდაშვილი აპირებდა: 50. ეc2 მf5+ 51. მფf3 მ:d4+ 52. მ:d4 ე:d4 53. ეc7+ მფe8 54. მფe3 და თეთრები b4 პაიკს იგებენ და პოზიცია თანაბარია.

**50. hg hg 51. ეc2 gf+ 52. gf ეh5 53. მფd3 მd6 54. ეc7+ მფg6 55. მc5?**

ყაიმი გამოდიოდა 55. ეc6 ეh3+ 56. მფc2 მf5 57. ე:e6 ე:b3 58. ე:f6. მაგრამ ნონას ეს ვარიანტი გამორჩა და ყაიმის მისაღწევად დიდი ბრძოლა დაჭირდა.

**55. ... ეh3+ 56. მფc2 მb5 57. ეd7 მფf5 58. d5 მd4+ 59. მფd1**

თეთრებს სერიოზული მდგომარეობა შეექმნათ. ისინი პაიკს სწირავენ, რათა მაქსიმალურად გააქტიურონ თავიანთი ფიგურები.

**59. ... e5 60. ef მფ:e5 61. მფd2 ეh2+ 62. მფd3 მf5 63. მფc4 მd6+ 64. მფ:b4 ე:b2+ 65. მფc3 ეb5 66. მd3+ მფ:d5**

კუშნირმა პაიკი მოიგო, მაგრამ მისი რეალიზება ტექნიკურად ძალიან ძნელია. საკმარისია ნონამ პაიკში მხედარი შესწიროს, რომ ყაიმი უზრუნველყოფილი აქვს. მაგრამ ეს მას არ დასჭირდა — ეტლისა და მხედრის მანევრირებით ისედაც შეძლო ზედმეტი პაიკის დატყვევება.

**67. მf4+ მფe5 68. მg6+ მფe6 69. მf8+ მფd5 70. მg6 მფe6 71. მf8+ მფd5 72. მg6 ეa5 73. მფd3 ეa4 74. მფe3 მფc6 75. ეd8 მფc7 76. ეf8 f5 77. ეh8 მფd7 78. ეh7+ მფc6 79. მe7+** ყაიმი.

აქ ალამ თავად შესთავაზა ნონას ყაიმი. რაზედაც მსოფლიო ჩემპიონი დათანხმდა.

ეს პარტია ყველაზე მრავალსვლიანი და ხანგრძლივია (იგი 9,5 საათს გაგრძელდა) მატჩში.

**თ. გიორგაძე.**

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

რიგა.

• • •

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 7,5:5,5 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ. დარჩენილ სამ პარტიაში გაფრინდაშვილს ნახევარი ქულაც ჰყოფნის უძლიერესის ტიტულის შესანარჩუნებლად.

გუშინ უნდა გამართულიყო XIV პარტია, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმა „წუთშესვენება" აიღო. მატჩის შემდეგი სათამაშო დღეა ორშაბათი, 19 ივნისი.

## „სპორტლოტოს" მოგებანი



10 ივნისს ლენინგრადში ჩატარდა „სპორტლოტოს" XVI ტირაჟი.

თბილისელებიდან ექვსი სახეობა ვერავინ ამოიცნო. ხუთ სახეობას „ზუსტად დაუმიზნა" სამმა კაცმა, რომლებიც 1877-1877 მანეთს მიიღებენ. 51-51 მანეთი ერგის 231 კაცს, რომლებმაც ოთხი სახეობა ამოიცნეს.

„სამოსნების" რიცხვი იზრდება. ამ ტირაჟში ასეთი 4590 ბარათი აღმოჩნდა. მოგება — 4 მანეთი.

შემდეგი, XVII ტირაჟი 20 ივნისს მოეწყობა დონის როსტოვში.

მათს საყურადღებოდ, ვინც XIII ტირაჟში სპორტის 3 და 4 სახეობა ამოიცნო და მოგება დღემდე არ მიუღია შემნახველ სალაროებში: ამ ტირაჟის მოგებათა განაღდება 20 ივნისს წყდება.

ონი

დამთავრდა ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრება „ტყავის ბურთის" პრიზზე. გათამაშების ფინალური მატჩი შედგა სტალინისა და ღარულას ქუჩების გუნდებს შორის. ანგარიშით 5:3 გაიმარჯვეს სტალინის ქუჩის ფეხბურთელებმა.

ლ. ბერიშვილი.

## „რეპეტიციებზე" მილანსა და აუგსბურგში

ნ ლეულს თავის პირველ და ოლიმპიურ თამაშებამდე ერთადერთ უცხოურ ტურნეში გაემგზავრა 14 ივნისს საბჭოთა მძლეოსნების რაზმი: ვაჟთა ნაკრები მილანის სტადიონზე დღეს დაამთავრებს ორდღიან ბრძოლას იტალიის, ბელგიისა და რუმინეთის ნაკრებ გუნდებთან, ხოლო იტალიის მეორე ქალაქში — ბერგამოში ქალები იასპარეზებენ. და ბოლოს, სსრ კავშირის მძლეოსანი ვაჟების ნაწილი ვარეზეში გამოვა.

23-24 ივნისს საბჭოთა მძლეოსნები აუგსბურგში შეხვდებიან გფრ-ის ნაკრებს (მატჩი ოლიმპიური პროგრამით ჩატარდება, ოღონდ არ გაიმართება შეჯიბრებები მრავალჭიდში, მარათონსა და 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში).

„გზად" საბჭოთა ნაკრების წევრებს საშუალება ეძლევათ მოსინჯონ მიუნჰენის ახალი ოლიმპიური სტადიონი — XX საზაფხულო თამაშების მომავალი სარბიელი.

საბჭოთა გუნდში შევიდნენ „გვარდიელები" — ოლიმპიური ჩემპიონები ვ. გოლუბნიჩი (სუმი), ი. ლუსისი (რიგა), ვ. სანეევი (თბილისი), მსოფლიო რეკორდსმენები ჟ. მელნიკი (ერევანი), ნ. ჩიჟოვა (ლენინგრადი), ევროპის ჩემპიონები ვ. ბორზოვი, ე. არჟანოვი (ორივე — კიევი), კ. შაპკა (ვილნიუსი) და სხვ.

„ახალწვეულთა" შორის არიან ლენინგრადელი ბირთვის მკვრელი ა. ბარიშნიკოვი, ჩერკასელი სპრინტერი, 22 წლის ვ. ატამასი, 400 მეტრზე მორბენალი, 23 წლის როსტოველი ლ. კრომლიოვი, სიგრძეზე მხტომელი, 19 წლის ვილნიუსელი ვილმა აუგუსტინავიჩუტე და სხვ.

თუმცა სსრ კავშირის ნაკრებს ოლიმპიადამდე სულ ორი მატჩი აქვს, საბჭოთა მძლეოსნების უცხოეთში გამოსვლებისა და საერთაშორისო შეჯიბრებების კალენდარი წლეულს ერთობ მდიდარია. ამ დღეებში ბერლინში, ტრადიციულ „ოლიმპიურ დღეში" სააასპარეზოდ გაემგზავრნენ ბირთვის კვრაში იუნიორთა საკავშირო რეკორდის მფლობელი, ორჯონიკიძელი ა. ნოსენკო, ჭოკით ხტომის ვეტერანი, ხარკოველი გ. ბლიზნეცოვი, ევროპის ექს-ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში, მოსკოველი ვ. გავრილოვი.

სულ მალე საბჭოთა სპორტსმენები აიღებენ სტარტებს როშიცკისა (პრაღა, 21 ივნისი) და კუსოჩინსკის (ვარშავა, 23 ივნისი) მემორიალებში, ხოლო 27-29 ივნისს მოსკოვში უმასპინძლებენ ძმები ზნამენსკების მემორიალში საასპარეზოდ ჩამოსულ უცხოელ სტუმრებს.

სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრებს მძლეოსნობის ისტორიაში პირველი მატჩი ელის ამერიკის შეერთებული შტატების გუნდთან. ეს შეხვედრა 28-29 ივლისს გაიმართება კალიფორნიის ქალაქ ბერკლიში.

მოსკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მინსკიდან მიუნხენამდე

## ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობს

რედაქციას ესტუმრა მწვრთნელი. იგი ახლახან ჩამოფრინდა რომელიღაც საკავშირო ჩემპიონატიდან. შინ არც კი მისულა — პირდაპირ „ლელოს" კარი შემოაღო. ნაბეჭდი ქაღალდების დასტა გაშალა და გრძელი მონოლოგი წამოიწყო. შესამჩნევად ღელავდა. თანაც მგზავრობით მოქანცული, ნაწყვეტ-ნაწყვეტად გამოთქვამდა სატკივარს.

ჩვენთვის, რედაქციის თანამშრომლებისთვის, ეს ნაცნობი სიტუაციაა. უკვე შევეჩვიეთ, რომ მწვრთნელი მუდამ უნდა ღელავდეს: მაშინაც, როცა მისი აღსაზრდელი სარბიელზე გამოდის, და მაშინაც, როცა განვლილი ბრძოლების დეტალებს იგონებს. მწვრთნელი ალბათ იმიტომაც არსებობს, რომ მუდამ თავისივე განცდების ტყვეობაში იყოს.

იგი უკმაყოფილოა და ყველას მოურიდებლად ამტყუნებს — საკუთარ თავსაც, სპორტსმენებსაც, მსაჯებსაც... იგი დარწმუნებულია, რომ ვიღაცამ მახე დაუგო, ვიღაც უპატიოსნოდ მოიქცა, თვითონ რაღაც ვერ გაითვალისწინა და აი, შედეგიც. მწვრთნელს სჯერა, რომ გულწრფელია და ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც თქვა.

მაგრამ ჩვენ თუ დაგვარწმუნა თავის სისწორეში, სამართლიანობაში, ობიექტურობაში? ანდა შეიძლება კი საერთოდ ობიექტური იყო, როცა საყვარელი მოწაფის მუშაობას აფასებ? ძნელია ასეთ დროს სიმართლის დადგენა თუნდაც იმიტომ, რომ არ არსებობს ამ ამბის მესამე, ნეიტრალური მოწმე.

გაგონილს მუდამ საკუთარი თვალით ნანახი სჯობს, ამიტომაც გადავწყვიტე მინსკში წავსულიყავი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატზე. ამ ტურნირს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვინაიდან მას საბოლოოდ უნდა დაეზუსტებინა ნაკრები გუნდის კანდიდატთა სია. მაგრამ მიუნხენის საგზურები, რა თქმა უნდა, ყველას არ ეყოფოდა. ამიტომ ზოგი მხოლოდ საპრიზო ადგილებისთვის იბრძოდა, ზოგი — თავის გამოსაჩენად, ზოგიც, უბრალოდ, საუწყებო ინტერესებისთვის.

ერთი სიტყვით, მინსკის ტურნირმა მთელს საჭიდაო ელიტას მოუყარა თავი.



## წესი წესია, ოღონდ ყველასთვის

ამბობენ, საერთაშორისო ტურნირებში მსაჯობა უფრო მკაცრიაო, ვიდრე საკავშირო ჩემპიონატებში. სრული ჭეშმარიტებაა! პირადად მე ამ სიტყვების სისწორეში მეხიკოს ოლიმპიადამ დამარწმუნა. მაშინ ცოცხალი იყო საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი რ. კულონი, რომლის თაოსნობითაც შეურიგებელი ომი გამოუცხადეს პასიურ ბრძოლას. მართლაც, ჭიდაობა ძლიერთა და გაბედულთა სპორტია და ის, ვინც რისკს გაურბის, ხალიჩაზე არც უნდა გამოდიოდეს. ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ განსვენებული პრეზიდენტის კურსი უცვლელი დატოვა.

მინსკის ჩემპიონატის წინ მსაჯებმა მითითება მიიღეს არ მორიდებოდნენ ავტორიტეტებს და ყველა დაშვებული მეთოდით აღეკვეთათ პასიური ბრძოლა. მაგრამ ყველა კანონს, თუ კი სწორად არ იქნა გაგებული, უკუოქმედების ძალა აქვს. პასიურობა ბრძოლაზე უარის თქმაა, მაგრამ ზოგჯერ თანაბარი ძალის მოჭიდავეთა შეხვედრას პასიურად მიიჩნევენ მხოლოდ იმიტომ, რომ ვერც ერთი მხარე ვერ ახერხებს ტექნიკური ქულის აღებას. ეს, რა თქმა უნდა, არ არის სწორი.

პირველი რისხვა მინსკის სარბიელზე თავს დაატყდათ მძიმე წონის მოჭიდავეებს ნოდარ მოდებაძესა და სოსლან ანდიევს (4-4 საჯარიმო ქულით ორივეს წაგება ჩაეთვალა). ამ შეხვედრის შეფასებაში ბევრი რამ იყო სადავო, მაგრამ მე მხოლოდ ორი ავტორიტეტის აზრს მოვიყვან:

ბ. გურევიჩი (მსოფლიოს ექს-ჩემპიონი): შეუძლებელია ერთი და იგივე არშინით მიუდგე მსუბუქი და მძიმე წონის მოჭიდავეებს. დაბალი წონითი კატეგორიების სპორტსმენებს გაცილებით მეტი აქტიურობა მოეთხოვებათ, ვიდრე მძიმეწონოსნებს.

ა. იალტირიანი (სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი): პასიურ ბრძოლაზე ლაპარაკი ამ შეხვედრაში შეცდომა იყო.

ასეა თუ ისე, ფაქტი მოხდა და ორმა პერსპექტიულმა მოჭიდავემ, რომლებმაც მალე ნაკრების შემადგენლობაში სახელოვანი ა. მედვედი უნდა შეცვალონ, ტურნირი 4 საჯარიმო ქულით დაიწყო და ფაქტიურად ფინალში გასვლის შანსი დაკარგა.

მაგრამ თავი დავანებოთ ბრძოლის შედეგის უსწორო განსაზღვრას. ამ შეხვედრამ ცხადყო, რომ წესების ფორმალურმა გაგებამ შესაძლოა კურიოზამდე მიგვიყვანოს. წარმოიდგინეთ, ანდიევს ან მოდებაძეს ქულებით რომ წაეგოთ ბრძოლა — დამარცხებული ხომ მხოლოდ სამ საჯარიმო ქულას (და არა ოთხს) მიიღებდა? გამოდის, რომ ალალი ბრძოლის ნაცვლად ერთ-ერთის მარცხი ორივე მეტოქეს მეტ სარგებლობას მოუტანდა. უაზრობაც სწორედ ესაა.

ახალი წესის ფორმალური ინტერპრეტაცია სხვა კურიოზებსაც წარმოშობს. მოჭიდავე, რომელიც ფიზიკურად კარგადაა მომზადებული, მაგრამ ტექნიკური არსენალის სიღარიბის გამო ქულებით აგებს შეხვედრას, ჯერ კიდევ მთლიანად როდია განწირული. მას შეუძლია შექმნას ბრძოლის იმიტაცია, გამუდმებით დაესხას თავს მეტოქეს, იძიძგილაოს და ორი გაფრთხილების შემდეგ მოახსნევინოს კიდეც იგი. ასეთი მაგალითი მინსკის ტურნირში უამრავი იყო.

სად არის გამოსავალი? მხოლოდ და მხოლოდ არბიტრის უშეცდომო შეფასებაში. მსაჯი გუმანით უნდა არჩევდეს ნამდვილ ბრძოლას და ბრძოლის იმიტაციას. მხოლოდ ამ შემთხვევაში არ დაიჩაგრება ტექნიკური მოჭიდავე, რომლის მთავარი დანაშაული ისაა, რომ ალღო ვერ აუღო ძიძგილაობის ტაქტიკას.

## ოლიმპიელთა შავი დღე

მინსკში ყველაზე დაკვირვებული მაყურებელი სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი ბ. რიბალკო იყო. ფანქრითა და ბლოკნოტით ხელში იგი ხან ერთ ხალიჩას მიაკითხავდა, ხან მეორეს, ხან მესამეს, გულდასმით იწერდა შენიშვნებს და მეტწილად უსიამოვნო დასკვნები გამოჰქონდა. სულ თვენახევრის წინ ნაკრებმა წარმატებით ჩააბარა ძნელი გამოცდა ევროპის ჩემპიონატში. შვიდი პირველი ადგილი, ერთი მეორე და ერთიც მესამე — ასეთი მაჩვენებელი საბჭოთა გუნდს არც ერთ საერთაშორისო შეჯიბრებაში არ ჰქონია. საკავშირო ჩემპიონატის წინ რიბალკო კარგ გუნებაზე იყო, ტურნირის დამთავრების შემდეგ კი ჩაფიქრებული გვეჩვენა. ამის საბაბი მწვრთნელს უთუოდ ჰქონდა: ნაკრები გუნდის წევრებმა თითქმის ყველა წონაში მწარე მარცხი იწვნიეს.

თავად განსაჯეთ: ა. ალახვერდიევი (ევროპის ჩემპიონი) III ადგილზე გავიდა ა. ნასრულაევისა და ა. ივანოვის შემდეგ; ი. კულეშოვი (ევროპის ჩემპიონი) ხუთეულშიც ვერ მოხვდა; VI ადგილს დასჯერდა რ. პლიევი (ევროპის ჩემპიონი); ვ. სიულჟინი (ევროპის ჩემპიონი) მეოთხე წრეში გამოეთიშა ასპარეზობას და საბოლოოდ V ადგილზე აღმოჩნდა; გ. სტრახოვმა ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი საკავშირო პირველობის ბრინჯაოს მედალზე გაცვალა, ხოლო ი. იარიგინი (ისიც ევროპის ჩემპიონია) ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ერთის მხრივ, სასიხარულოა, რომ ახალგაზრდობა არ ერიდება ავტორიტეტებს. ჩემპიონების წინააღმდეგ ყველა თავგამოდებით იბრძვის, მით უმეტეს, როცა წარმატება ოლიმპიადაზე გამგზავრების შანსს იძლევა. ტურნირის წინ ნაკრების მწვრთნელმა მტკიცედ განაცხადა, რომ I ადგილზე გასული მოჭიდავე მიუნხენში გამგზავრების ნაღდი კანდიდატი იქნებაო. ახლა, როგორც ჩანს, აზრი შეიცვალა, თუმცა გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით. ოლიმპიადამდე ჯერ კიდევ დროა დარჩენილი და ამ ხნის მანძილზე შესაძლოა შეიცვალოს ძალთა შეფარდება.

## ბედისწერას ვერსად გაექცევი

იგი გულნატკენი იდგა საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე და მწარე ღიმილით იღებდა ბრინჯაოს ჯილდოს. რამდენიმე წუთის წინ კი მისი გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. დიახ, საერთო აღიარებით, 68 კგ წონით კატეგორიაში თბილისელ ნ. ხოხაშვილს ბადალი არ ჰყავდა. ხოხაშვილმა დაჯერებულად დაიწყო ტურნირი და სამი წრის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში მოექცა. იგი ნებისმიერი მეტოქის წინააღმდეგ სრული სერიოზულობით იბრძოდა. ასეთი გამიზნული და მონდომებული იშვიათად გვინახავს. მეხუთე წრეში მან წმინდად მოუგო ლ. მატვეევს, რომელიც უჯარიმოდ მიიწევდა ფინალისკენ. მერე კი საბედისწერო შემთხვევა მოხდა.

ლ. შიპილოვისთვის ფინალში ბრძოლა ისედაც წარმატებას ნიშნავდა და ახალგაზრდა ტაშკენტელი მოჭიდავეც შეეჩვია ფიქრს ბრინჯაოს მედალზე, მით უმეტეს, რომ ხოხაშვილმა ნას დასაწყისშივე აართვა 5 ქულა. შეხვედრის დამთავრებას რამდენიმე წუთი აკლდა, როცა ქართველი ოსტატი უხერხულად დაეცა ლეიბზე — მხარი ამოუვარდა. იგი გაოგნებული გაიყვანეს დარბაზიდან, გაუკეთეს ტკივილის გასაყუჩებელი ნემსი, მაგრამ ხალიჩაზე დაბრუნება, რაღა თქმა უნდა, აღარ შეეძლო.

ასეთ მოულოდნელ ფინიშს არავინ ელოდა, ყველაზე მეტად კი ახალი ჩემპიონი. ხოხაშვილის დაშავებამ არსებითი კორექტივები შეიტანა ნაკრების მწვრთნელის გეგმებშიც. საქმე ისაა, რომ მხრის ამოვარდნილობა მოჭიდავის პროფესიული დაავადებაა, რომელსაც ხანგრძლივი და სისტემატური მკურნალობა სჭირდება. ოლიმპიური თამაშები კი, რომ არაფერი ვთქვათ დაკარგულ ოქროს მედალზე, კარსაა მომდგარი. როგორც ჩანს, ამ წონაში საგანგებო ზომების მიღება იქნება საჭირო, ვინაიდან შიპილოვს ვერავინ ანდობს ადგილს ნაკრებში.

ტურნირის შემდეგ ლაპარაკი იყო ზ. აბდულბეკოვზე, რომელსაც ალბათ წონის მომატება მოუწევს. მას გულდასმით გასინჯავს მწვრთნელი ახალ ამპლუაში და თუ მანამდე მომჯობინდა ხოხაშვილი, შეახვედრებს კიდეც საკონტროლო შერკინებებში. მაგრამ ეს მხოლოდ ლაპარაკია და მოსაზრებები. ნაკრები რაღაც გამოსავალს ალბათ მონახავს. ხოხაშვილმა კი სრულიად მოულოდნელად დაკარგა ოქროს მედალი, დაკარგა მაშინ, როცა ყველაზე მეტად იყო ღირსი ამ ჯილდოსი.

## ვინც წონის რეჟიმს არ იცავს

წონის რეჟიმის სისტემატურ და გეგმაზომიერ დაცვას ჭიდაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს. წონის დაკლებამ ბევრ ცნობილ მოჭიდავეს გაუმწარა სიცოცხლე და ბოლოს აალებინა კიდეც ხელი აქტიურ გამოსვლებზე. ყველაფერი ინდივიდუუმზე და ადამიანის ხასიათზეა დამოკიდებული. ის, ვინც მთელი წლის მანძილზე აქცევს ყურადღებას საკუთარ წონას, მტკივნეულად არასდროს განიცდის ამ უსიამოვნო პროცესს.

მაგრამ არსებობს ერთი კატეგორია მოჭიდავეებისა, რომლებიც წონის რეჟიმის მოწესრიგებას უშუალოდ შეჯიბრების წინა დღეებში იწყებენ. სამწუხაროდ, მათს რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ, პირველ ყოვლისა, მსოფლიო ჩემპიონი ლ. თედიაშვილი და ნაწილობრივ — ევროპის ბოლო პირველობის ვერცხლის პრიზიორი რ. მარსაგიშვილი.

მსოფლიო ჩემპიონი მინსკში გამგზავრების წინ 10 კილოგრამით მეტს იწონიდა. მას სასწრაფო ზომების მიღება მოუხდა, რათა თავის წონაში გამოსულიყო. 10 კილოგრამი სათქმელად თითქოს იოლია, მაგრამ ზედმეტი წონის ერთბაშად დაკლებამ თედიაშვილზე ძალიან იმოქმედა. უკვე პირველივე ტურში მსოფლიო ჩემპიონი ქანცგამოცლილი გვეჩვენა. დაეკარგა სისწრაფე, რეაქცია, გაუქრა მოძრაობის სწორი კოორდინაციის უნარი და, რაც მთავარია, ხალისი.

მხოლოდ ამიტომ იყო, რომ პირველი ოთხი შეხვედრა მან ქულებით მოიგო, ლენინგრადელ ვ. ნოვოჟილოვთან კი დამარცხდა. შეიძლება მსაჯებმა ზედმეტი სიმკაცრე გამოიჩინეს მსოფლიო ჩემპიონის მიმართ, ვინაიდან ნაკრების მთავარი ფავორიტისგან მუდამ მეტს მოითხოვენ. შესაძლოა ისინი აჩქარდნენ კრიტიკული მომენტის შეფასებაში, მაგრამ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამას, როცა თვით თედიაშვილი არ იყო თავისი თავით კმაყოფილი. მინსკის ჩემპიონატი მისთვის კარგი მაგალითია. თედიაშვილის რანგის მოჭიდავემ უნდა იცოდეს, რა მნიშვნელობა აქვს სპორტსმენისთვის წონის რეჟიმის სწორ დაცვას.

მარსაგიშვილის ბედი, ფაქტიურად, მეოთხე წრეში გადაწყდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ი. გუსოვთან ჭიდილის დროს. მარსაგიშვილმა წამოიწყო ილეთი, გუსოვმა დაამთავრა. საერთო აღიარებით, ქართველი ოსტატისთვის ორი თუ არა, ერთი ქულა მაინც უნდა მიეცათ, მაგრამ მსაჯებმა სხვაგვარად განსაჯეს — გუსოვს მიეცა ქულა, მარსაგიშვილს კი... არაფერი.

„ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს წარმომადგენელმა მსაჯთა კოლეგიაში პროტესტი შეიტანა ამ შემთხვევის გამო (რომელმაც გადაწყვიტა ბრძოლის ბედი ექს-ჩემპიონის სასარგებლოდ). პროტესტი განიხილეს, მაგრამ მარსაგიშვილის პრეტენზიები არ დააკმაყოფილეს. მთავარმა მსაჯმა საბოლოო სიტყვაში თქვა: შესაძლოა ქულა მარსაგიშვილს ეკუთვნოდა კიდეც, მაგრამ ორმა მსაჯმა უპირატესობა გუსოვს მიანიჭა და ჩვენც იძულებული ვართ ამ განაჩენს დავემორჩილოთო.

## ორი ჩემპიონი საქართველოდან

ქვემსუბუქ წონაში პირველ და მეორე ადგილებზე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები გავიდნენ: ოქროს მედალი ტ. ალიბეგაშვილმა მიიღო, ვერცხლისა — რ. დობორჯგინიძემ. ეს არ იყო შემთხვევითი წარმატება. შვიდმა დაძაბულმა წრემ ორივე მოჭიდავე ლოგიკურად აიყვანა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ალიბეგაშვილი ამ ტურნირში შეუდარებლად ძლიერი იყო თავის მეტოქეებზე. განსაკუთრებით ეფექტურად ჩაატარა მან ბრძოლა კიეველ ვ. ჩერტკოვთან, რომელიც მახამდე ნაკრების მთავარ ფავორიტად მიაჩნდათ. ჩერტკოვი ორჯერ გადაურჩა წმინდა წაგებას, მაგრამ ის ქულებიც, რომლებიც ალიბეგაშვილმა 9 წუთის მანძილზე დააგროვა ხავსებით დამაჯერებელი პასუხი იყო მთავარ შეკითხვაზე — ვინ უფრო ძლიერია: უკრაინელი ოსტატი თუ ქართველი?

ჩერტკოვი დობორჯგინიძემაც დაამარცხა და სავსებით დამაჯერებლად. იგი სხვა შეხვედრებშიც მოწოდების სიმაღლეზე იდგა და, ბოლო ბრძოლა ტაშკენტელ ე. აბდურაიმოვთან წმინდად რომ მოეგო, თვითონ გახდებოდა ჩემპიონი (ალიბეგაშვილ—დობორჯგინიძის შერკინება ფრედ დამთავრდა). მაგრამ დობორჯგინიძეს ვერცხლის მედალმაც კანონიერი ადგილი დაუმკვიდრა ნაკრებ გუნდში.

ჩემპიონატის შემდეგ გამარჯვებულ სპორტსმენებს ოქროს მედლებთან ერთად მინსკის სპორტული ორგანიზაციების დაწესებული პრიზები გადასცეს. სოხუმელმა კ. მარშანიამ მიიღო სპეციალური ჯილდო-სიურპრიზი, რაც ნიშნავდა, რომ მარშანიას წარმატება მსაჯთა კოლეგიამ ტურნირის ერთ-ერთ მთავარ სენსაციად მიიჩნია.

მარშანია შესაძლოა თვითონაც არ ელოდა ამ ჩემპიონატში ოქროს მედალს, მაგრამ გზა, რომელიც მან სანუკვარ ჯილდომდე გაიარა, უდავოდ სასახელოა და საპატიო. ფინალში ახალმა ჩემპიონმა სარეკორდოდ მოკლე დროში — 36 წამში ბეჭებზე დასცა ოქროს მედლის მისაღებად გამზადებული ალმაათელი პ. სურიკოვი. ამ ბრძოლის წინ დიდხანს ვესაუბრე მარშანიას თავის ნომერში. მან საოცრად კარგი შთაბეჭდილება დატოვა პირველ ყოვლისა სადი აზროვნებითა და სწორი მსჯელობის უნარით. იგი არ ჰგავდა მოჭიდავეს, რომელიც დაძაბულად ელის გადამწყვეტ შეხვედრას და თითქოს შეშინებულიცაა.

— გადაწყვეტილი მაქვს გამარჯვებისთვის ვიბრძოლო, — თქვა წან ღიმილით. — თუ სურიკოვი ჩემზე ძლიერია, ოქროს მედალი მას დარჩება, მაგრამ გულწრფელად უნდა გითხრათ. არ ვღელავ (იგი არ ტყუოდა). მომიგებს? ღმერთმა შეარგოს. მაგრამ მეც გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ.

შეხვედრის შემდეგ მარშანია ხელში აყვანილი გააცილეს თანაგუნდელებმა. იგი პირველად გახდა ოქროს მედლის კავალერი იმ წონაში, სადაც სხვებთან ერთად გამარჯვებისთვის მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გ. სტრახოვიც იბრძოდა. ახალგაზრდა ოსტატი დიდ სარბიელზე გავიდა.

ნ. გუგუშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ).

მინსკი — თბილისი.

• • •

სურათზე: თბილისის გან-თიადელი მძიმეწონოსანი ე. გოცირიძე (მარცხნივ) ილეთს უკეთებს მეტოქეს. VI ადგილის მიუხედავად, გოცირიძემ შემტევი ჭიდაობით საყოველთაო სიმპათია დაიმსახურა.

ა. გლინსკის ფოტო.

---

საკდესი მოგვითხროვს

● ●

## „ალო, ჩვენ ვეძებთ ტალანტებს"

მოგილიოვის ოლქის სოფელ მაკოვიჩის მცხოვრები, 17 წლის ტანია კისელევიჩი ამიერიდან რბენაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, მკაცრად დადგენილ მეცნიერულ საფუძველზე იმეცადინებს. იგი მიიღებს საგანგებოდ მისთვის დამუშავებულ მეთოდურ სახელმძღვანელოს და კონკრეტულ დავალებას გარკვეული პერიოდისთვის. ამისთვის ბელორუსიის მძლეოსნობის ფედერაცია იზრუნებს.

ასეთი პროგრამით 60-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი (14-დან 18 წლამდე) იმეცადინებს. ისინი რბენასა და ტყორცნაში რესპუბლიკური სასოფლო ასპარეზობის შემდეგ შეარჩიეს. ახალგაზრდების დათვალიერების დროს ტანია კისელევიჩმა, რომელიც პირველად მონაწილეობდა ასეთ დიდ შეჯიბრებაში, 1000 მეტრი 3 წუთსა და 13,6 წამში გაირბინა.

სპორტული დათვალიერება მთავარ სტარტებამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო. ჯერ რაიონებსა და ოლქებში ჩატარდა შეჯიბრებები, რომლებმაც 1000-ზე მეტ მონაწილეს მოუყარა თავი. შემდეგ მოეწყო ფინალი 200 ჭაბუკისა და ქალიშვილის მონაწილეობით. ამ ტურნირზე მძლეოსნობის ცნობილი სპეციალისტები მიიწვიეს.

ბელორუსიის მძლეოსნობის ფედერაციამ გადაწყვიტა მსგავსი შეჯიბრებები ყოველწლიურად ჩაატაროს.

ვ. დუტოვი.

მინსკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიუნხენი-72

# ფინალში: სსრ კავშირი — გფრ

### სსრ კავშირი — უნგრეთი 1:0, გფრ — ბელგია 2:1

14 ივნისს ბელგიის ქალაქების — ანდერლეხტისა და ანტვერპენის სტადიონებზე შედგა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩები, რომლებმაც გამოავლინა გადამწყვეტი, ფინალური შეხვედრის მონაწილენი.

ანდერლეხტში თამაშობდნენ სსრ კავშირისა და უნგრეთის გუნდები. მატჩი უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. ორივე მხარე ხშირად უტევდა და სახიფათო მომენტებსაც ქმნიდა. საბჭოთა ნაკრებში თავი გამოიჩინა გუნდის კაპიტანმა ხურცილავამ, აგრეთვე, მეკარე რუდაკოვმა. ი. იუხასს და ბენეს ჰქონდათ გოლის გატანის კარგი შესაძლებლობანი, მაგრამ რუდაკოვმა შეძლო ძნელი ბურთების აღება.

შესვენებამდე უნგრელებს საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, შემდგომში კი შეტევაზე საბჭოთა ფეხბურთელები გადავიდნენ. 52-ე წუთზე უნგრელთა ერთ-ერთმა მცველმა მოიგერია ბურთი, იგი მოხვდა კონკოვთან და ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმის შემდეგ ბადეში აღმოჩნდა — 1:0.

მატჩის კულმინაციური მომენტი იყო 84-ე წუთი, როცა გლიოკნერმა (გდრ) 11-მეტრიანი საჯარიმო დანიშნა საბჭოთა ნაკრების საჯარიმო მოედანზე უნგრელთა თავდამსხმელის ალბერტის წაქცევისთვის. პენალტის დარტყმა მიენდო მარცხენა გარემარბს ზამბოს, მაგრამ მისი ბურთი შესანიშნავი ნახტომით მოიგერია რუდაკოვმა.

მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

სსრ კავშირი — რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, კაპლიჩნი, ისტომინი, კონკოვი, ტროშკინი, კოლოტოვი, ბაიდაჩნი, ბანიშევსკი (გ. ნოდია), ონიშჩენკო; უნგრეთი — გეცი, ფაბიანი, პანჩიჩი, პ. იუხასი, ბალინტი, ი. იუხასი, კოჩიში (დუნაი), სიოკე, ბენე (ალბერტი), კიუ, ზამბო.

• • •

ასეთივე დაძაბული გამოდგა ბელგიისა და გფრ-ის გუნდების ბრძოლა ანტვერპენის „ასტრიდ-პარკის" მინდორზე. აქ კვლავ გამოიჩინა თავი გერმანელთა ცნობილმა ბომბარდირმა მიულერმა, რომელმაც ორჯერ — 27-ე და 72-ე წუთებზე (ამჯერად, ნეცერის შესანიშნავი გადაცემის შემდეგ) აიძულა ბელგიელთა მეკარე პიო ბადიდან გამოეტანა ბურთები. მასპინძლებმა შეძლეს ერთი საპასუხო გოლის გატანა (პოლეუნისი, 82-ე წ.).

მატჩმა არნახული ინტერესი გამოიწვია და სტადიონის ტრიბუნებმა მატჩის ნახვის მსურველთა მხოლოდ მცირე ნაწილი დაიტია. თამაში საკმაოდ ნერვულ ვითარებაში დაიწყო და შოტლანდიელი არბიტრი მაკმილანი იძულებული იყო გაფრთხილება მიეცა ერთ-ერთი ბელგიელი მოთამაშისთვის. ხშირი ორმხრივი იერიშებისას ორივე გუნდის თავდამსხმელები უზუსტოდ ურტყამდნენ კარში, შემდეგ კი თანდათან გამოიკვეთა გფრ-ის ნაკრების უპირატესობა. გერმანელთა ცენტრფორვარდი მიულერი შუა მინდორში არაფრით გამოირჩეოდა, მაგრამ საკმარისი იყო თამაშს ბელგიელთა კარისკენ გადაენაცვლა, რომ იგი წამსვე ბურთის გატანის რეალურ საშიშროებას ქმნიდა და, როგორც აღვნიშნეთ, ორი გოლიც გაიტანა.

გერმანელთა მწვრთნელი ჰ. შიონი უკმაყოფილოა თავისი გუნდის თამაშით. კერძოდ, მაშინ, როცა იგი დაწინაურდა ანგარიშით 2:0, შიონის აზრით, შეცდომა იყო პოზიციური თამაში საკუთარ ნახევარზე. მწვრთნელმა გამოჰყო მეკარე მაიერი, რომელმაც გუნდი რამდენიმე უძნელესი ბურთისგან იხსნა.

მატჩის შემდეგ რამდენიმე გერმანელმა გულშემატკივარმა, მათი რიცხვი კი ტრიბუნებზე 22 ათასს უდრიდა, სცადა მინდორზე გადასვლა, მაგრამ პოლიციელებმა სწრაფად დაამყარეს წესრიგი.

აი, გუნდების შემადგენლობანი. გფრ — მაიერი, ჰიოტგესი, ბეკენბაუერი, შვარცენბეკი, ბრაიტნერი, ჰიონესი (გრაბოვსკი), ნეცერი, ვიმერი, ჰაინკესი, მიულერი, კრემერსი; ბელგია: პიო, ჰეილენსი, ვანდენდაელი, ტისენი, დოლმანსი, დოქსი, ფერჰეიენი, მარტენსი (პოლეუნისი), სემელინგი, ლამბერი, ვან ჰიმსტი.

• • •

ბელგიური პრესა აღნიშნავს საბჭოთა ნაკრების წარმატებას ნახევარფინალურ მატჩში. გაზეთი „ლიბრ ბელჟიკი" მას უწოდებს „დეტალურად შემუშავებული მეთოდიკის გამარჯვებას სიცხარეზე", ხაზს უსვამს გუნდის ორგანიზებულ, დამაჯერებელ მოქმედებას, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა მეორე ტაიმში. საბჭოთა ფეხბურთელები, — აღნიშნავს გაზეთი, — საიმედოდ თამაშობდნენ მაშინაც, როცა უნგრელი თავდამსხმელები სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ რუდაკოვის კართან.

„დერნიერ ერი" აღნიშნავს, რომ ორივე ნახევარფინალური შეხვედრა ერთდროულად მიმდინარეობდა და, ცხადია, ბელგიელმა გულშემატკივრებმა თავიანთი გუნდის თამაშს მიაშურეს, მაგრამ ის, ვინც მოვიდა ანდერლეხტის სტადიონზე, არ გაწბილებულა.

მატჩის შემდეგ საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. პონომარიოვმა თავისი გუნდიდან გამოჰყო რუდაკოვი, ხურცილავა, კოლოტოვი და ონიშჩენკო, ხოლო მეტოქის რიგებიდან — ზამბო.

უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ტერპიტკომ განაცხადა: „ჩვენი გუნდი III ადგილის დაკავებას იმედოვნებდა, ეს იგი, ყველაფერი უნდა ვიღონოთ წარმატების მოსაპოვებლად 17 ივნისს. საწყენია, რომ ვერ შევძელით პენალტის გამოყენება, თუმცა უნგრეთის ჩემპიონატის მატჩებშიც ჩვენს ფეხბურთელებს საშუალოდ მხოლოდ ერთი პენალტი გააქვთ ოთხიდან".

ბევრი კომენტარი მიეძღვნა გფრ-ისა და ბელგიის გუნდების შეხვედრასაც. ბელგიელთა მწვრთნელს რ. გუტალსს მიაჩნია, რომ მისმა გუნდმა წააგო მეტოქის მიმართ ზედმეტი შიშის გამო და ნამდვილი ძალით მხოლოდ შესვენების შემდეგ ითამაშა.

დღეს ლიეჟში III ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდებიან ბელგიისა და უნგრეთის ფეხბურთელები. ამ მატჩს ტელევიზიით ვნახავთ 23 საათზე თბილისის დროით.

18 ივნისს ბრიუსელში გაიმართება გადამწყვეტი მატჩი ჩემპიონის წოდებისთვის სსრ კავშირისა და გფრ-ის ფეხბურთელთა შორის. იგი დაიწყება 19 საათზე. თუ ამ დღეს გამარჯვებული არ გამოვლინდა, 20 ივნისს მატჩი ხელახლა შედგება იმავე დროს, ბრიუსელში.



სურათზე: ა. კონკოვის დარტყმის შემდეგ ბურთი უნგრეთის ნაკრების კარში აღმოჩნდა.

საკდესის ტელეფოტო.

სსრ კავშირის პირველობა

## წაგება იაროსლავლში

14 ივნისს გაიმართა მორიგი კალენდარული ტური.

ქუთაისის ტორპედოელები იაროსლავლში დამარცხდნენ ადგილობრივ „შინიკთან" — 0:1.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „ალგა" (ფრუნზე) 1:0, „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „პამირი" (დუშანბე) 4:4, „კრივბასი" (კრივოი როგი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 1:5, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „სტროიტელი" (აშხაბადი) 5:0, „დინამო" (ლენინგრადი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 0:0, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) 1:0, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „შახტიორი" (დონეცკი) 0:0, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 1:0, „ზვეზდა" (პერმი) — „შახტიორი" (ყარაგანდა) 2:1.

● ●

## I ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფახთაქორი" | 14 | 9 | 3 | 2 | 24—12 | 21 |
| „ჩერნომორ." | 12 | 8 | 2 | 2 | 24—10 | 18 |
| „შახტ." (დ.) | 14 | 5 | 8 | 1 | 16—6 | 18 |
| „პამირი" | 14 | 7 | 4 | 3 | 19—16 | 18 |
| „ტორპედო" | 13 | 8 | 1 | 4 | 22—8 | 17 |
| „ზვეზდა" | 13 | 6 | 4 | 3 | 12—10 | 16 |
| „სპარტაკი" | 14 | 6 | 4 | 4 | 16—15 | 16 |
| „კრ. სოვეტ." | 13 | 2 | 11 | 0 | 13—11 | 15 |
| „შინიკი" | 14 | 6 | 3 | 5 | 12—13 | 15 |
| „შახტ." (ყ.) | 13 | 4 | 5 | 4 | 14—12 | 13 |
| „ალგა" | 14 | 3 | 7 | 4 | 12—10 | 13 |
| „მეტალის." | 14 | 4 | 5 | 5 | 14—15 | 13 |
| „ავტომობ." | 13 | 3 | 6 | 4 | 12—13 | 12 |
| „სტროიტ." | 14 | 4 | 3 | 7 | 16—28 | 11 |
| „მეტალურ." | 13 | 3 | 4 | 6 | 19—17 | 10 |
| „ნისტრუ" | 12 | 3 | 3 | 6 | 10—19 | 9 |
| „დინამო" | 13 | 2 | 5 | 6 | 8—16 | 9 |
| „კრივბასი" | 13 | 3 | 3 | 7 | 15—25 | 9 |
| „ტექსტილ." | 13 | 1 | 5 | 7 | 10—24 | 7 |
| „ურალმაში" | 13 | 1 | 4 | 8 | 10—19 | 6 |

● ●

## გამოუყენებელი შესაძლებლობანი

ფოთის „კოლხეთი" 14 ივნისს შინ ეთამაშა ორიოლის „სპარტაკს". სატურნირო ცხრილში ახლო მეზობლობამ განაპირობა ის, რომ „კოლხეთმა" მთელი მონდომებით, ენერგიულად ითამაშა და შეეძლო თავისი აქტივისთვის მიემატებინა 2 ქულა, მაგრამ მხოლოდ ქულას დასჯერდა.

ვინც არ დასწრებია ამ მატჩს, ვერც წარმოიდგენს მეტოქის კარის აღებს რამდენი შესაძლებლობა ჰქონდათ „კოლხეთის" თავდამსხმელებს. უზუსტო დარტყმების გამო ეს შეტევები უშედეგოდ მთავრდებოდა. მათი აღწერა შორს წაგვიყვანდა. დროდადრო თამაში სპარტაკელთა კარის უშუალო სიახლოვეს მიმდინარეობდა, სტუმრების მცველებმა ორჯერ ზედ კარის ხაზიდან გამოიტანეს ბურთი, ისინი რამდენიმეჯერ იხსნა ძელმა... ამას გარდა, სანაიამ, ჯაიანმა, არზიანმა და სხვებმა სავსებით ელემენტარულ სიტუაციაში ვერ შეძლეს ბურთის მიზანში გაგზავნა.

„კოლხეთს" უკანასკნელი შესაძლებლობა შეექმნა 87-ე წუთზე, როცა ჯაიანი გავიდა „სპარტაკის" საჯარიმო მოედანზე და წინ არავინ ჰყავდა, თვით მეკარეც კი. კარი არც ამ ვითარებაში იქნა აღებული — 0:0.

გ. ბასილაია.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## II ლიგა III ზონა

### ლიდერთა მატჩი

14 ივნისს გორის სტადიონის ტრიბუნები ფეხბურთის მოყვარულებით აივსო. მათი ეს ინტერესი გასაგებია: ამ დღეს აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ II ლიგის III ზონის ერთპიროვნული ლიდერი — ლიპეცკის „მეტალურგი" და ადგილობრივი „დილა", რომელიც ოდნავ ჩამორჩებოდა მეტოქეს.

მატჩი ყოველმხრივ შეეფერებოდა ლიდერთა მდგომარეობას. იგი ჩატარდა მაღალ დონეზე, სწრაფ ტემპში, ხშირი ორმხრივი იერიშებით. ორივე გუნდი თამამად უტევდა და მეკარეებს მთელი მატჩის მსვლელობაში მოცლა არ ჰქონდათ.

თავდაპირველად რამდენიმე კარგი კომბინაცია გაითამაშეს მასპინძლებმა, რომლებმაც ზედიზედ შექმნეს სახიფათო მომენტები „მეტალურგის" კართან. მაგრამ არც ლიპეცკელები აკლებდნენ კონტრშეტევებს და მოხდა ისე, რომ „მეტალურგს" სწორედ ასეთმა მანევრმა მოუტანა წარმატება: 37-ე წუთზე კარგად გათამაშებული ბურთი ზუსტი დარტყმით გაგზავნა კარში სოლდატოვმა — 1:0.

ანგარიშის გათანაბრება „დილას" ჯერ კიდევ შესვენებამდე შეეძლო, მაგრამ თავდამსხმელები გადამწყვეტ მომენტებში შეუთანხმებლად მოქმედებდნენ და, ამას გარდა, იშვიათად ურტყამდნენ კარში.

საპასუხო ბურთი თამაშის განახლებისთანავე გავიდა: გორელთა ცენტრალური თავდამსხმელი პაპიაშვილი მეკარის პირისპირ გავიდა და მცველებმა იგი ხელით დაიჭირეს. პენალტი ზუსტად შეასრულა ბურჯანაძემ — 1:1.

დარჩენილ დროში გორელები განუწყვეტლივ უტევდნენ, მათი მეტოქე კი უნარიანად იცავდა კარს და შეძლო ანგარიშის შენარჩუნება.

გ. გოზალიშვილი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „დრუჟბა" (მაიკოპი) — „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) 2:1, „დინამო" (სოხუმი) — „მაშინოსტროიტელი" (პოდოლსკი) 3:1, „ზვეზდა" (ტირასპოლი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 1:0, „დინამო" (ბათუმი) — „შრომითი რეზერვები" (კურსკი) 5:3, „მერცხალი" (მახარაძე) — „სალუტი" (ბელგოროდი) 2:0, „მეტალურგი" (რუსთავი) — „ტრუდი" (ვორონეჟი) 0:1.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 11 | 6 | 5 | 0 | 18—6 | 17 |
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 11 | 6 | 3 | 2 | 16—3 | 15 |
| „დილა" (გორი) | 12 | 5 | 4 | 3 | 12—7 | 14 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 11 | 7 | 0 | 4 | 15—12 | 14 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 10 | 4 | 5 | 1 | 8—3 | 13 |
| „დინამო" (ბათუმი) | 10 | 5 | 3 | 2 | 16—12 | 13 |
| „მაშინოსტროიტელი" (პოდოლ.) | 11 | 5 | 3 | 3 | 10—9 | 13 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 11 | 4 | 4 | 3 | 13—11 | 12 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 12 | 3 | 6 | 3 | 7—8 | 12 |
| „დინამო" (სოხუმი) | 10 | 3 | 5 | 2 | 10—10 | 11 |
| „ზვეზდა" (ტირასპოლი) | 10 | 5 | 1 | 4 | 7—7 | 11 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 10 | 4 | 2 | 4 | 11—14 | 10 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 11 | 2 | 5 | 4 | 9—13 | 9 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 11 | 3 | 3 | 5 | 6—12 | 9 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 10 | 3 | 2 | 5 | 13—14 | 8 |
| „კალითეა" (ბელაია კალიტვა) | 11 | 2 | 4 | 5 | 9—11 | 8 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 10 | 2 | 4 | 4 | 8—11 | 8 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 12 | 0 | 6 | 6 | 5—12 | 6 |
| „შრომითი რეზერვები" (კურსკი) | 12 | 0 | 3 | 9 | 6—24 | 3 |

## უფროსებს მიბაძეს

სოფია. სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის პირველობის განმეორებითი ნახევარფინალური შეხვედრა 14 ივნისს ფრედ დაამთავრეს ბულგარეთის გუნდთან — 3:3.

საბჭოთა გუნდიდან ბურთები გაიტანეს გუცაევმა, ზვიაგინცევმა და მირიკოვმა, ხოლო მასპინძელთაგან თავი გამოიჩინა მიხაილოვმა, რომელმაც „ჰეტ-ტრიკი" შეასრულა.

ამ გუნდების პირველი შეხვედრა, როგორც ცნობილია, დამთავრდა ანგარიშით 4:0 საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ. საბჭოთა გუნდმა მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება, სადაც მისი მეტოქე ჩეხოსლოვაკიის ნაკრები იქნება.

## უნგრელი ოლიმპიელები თბილისში

დღეს თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე შედგება მეტად საინტერესო საერთაშორისო მატჩი: ჩვენს ქალაქში სათამაშოდ ჩამოვიდა უნგრეთის ოლიმპიური ნაკრები, რომელიც თბილისის „დინამოს" შეხვდება.

თბილისში ჩამოსვლამდე უნგრელებმა 14 ივნისს ერევანში ითამაშეს ადგილობრივ „არარატთან" და დაამარცხეს იგი საკმაოდ უჩვეულო ანგარიშით — 5:4.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სტუმრები ერთ მომენტში საგრძნობლად დაწინაურდნენ — 4:1.

სტუმართა მხრივ ბურთები გაიტანეს სურომიმ, ტოკაჩმა (2) და ტოოტმა, ხოლო მასპინძელთაგან — იშტოიანმა (2), პოლოსოვმა და ზანაზანიანმა.

## „სიჭაბუკის თასზე"

15 ივნისს გაიმართა ნორჩ ფეხბურთელთა რესპუბლიკური გათამაშების ნახევარფინალური მატჩები „სიჭაბუკის თასზე". თბილისის პირველმა გუნდმა ანგარიშით 3:0 დაამარცხა ბათუმის „დინამო". ასეთივე ანგარიშით დამთავრდა მატჩი გორში: ადგილობრივმა „დილამ" სოხუმის „დინამოს" სძლია.

**დღეს თბილისის ლენინის სახელობის სტადიონზე შედგება ტურნირის ფინალური მატჩი თბილისისა და გორის ფეხბურთელთა შორის. დასაწყისი 12 ს.**

## კონკრეტული დავალება

შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელად სულ ახლახან დანიშნულმა ბაზელელმა სპეციალისტმა ბ. მიშომ თავისი ფედერაციისგან სრულიად კონკრეტული დავალება მიიღო. მას ევალება, რადაც უნდა დაუჯდეს, შვეიცარიელები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გაიყვანოს. არც მეტი, არც ნაკლები!

ვინ ითამაშებს შვეიცარიელთა ჯგუფში? იტალიელები, თურქები, ლუქსემბურგელები. თავიანთი მოსაზრება ფედერაციის მესვეურებმა ახალ მწვრთნელს ასე დაუსაბუთეს: რა ვუყოთ, რომ იტალიელები ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები არიან. როგორც ევროპის ჩემპიონატის მატჩებმა გვიჩვენა, მათი გუნდის დიდება წარსულს ჩაბარდა, ახლა კი „სკუადრა აძურა" ბევრს არაფერს წარმოადგენს.

რაც შეეხება თურქებსა და ლუქსემბურგელებს, იტალიის გუნდის მძლეველს მათთან თამაში სულაც არ უნდა გაუჭირდეს.

# ოქროს რგოლი-72

● იაროსლავლი, 15 ივნისი. „ნედელიას“ პრიზზე ტრადიციულ ავტორალიში, რომელსაც „ოქროს რგოლი“ ჰქვია, ასამდე ეკიპაჟი მიიღებს მონაწილეობას. ამ შეჯიბრებას სტარტი აქ 22 ივნისს მიეცემა, ხოლო ფინიში ასევე იაროსლავლში ექნება 25 ივნისს. ამ დღეების განმავლობაში მრბოლელები 4004 კილომეტრს დაფარავენ ძველი რუსული ქალაქების კოსტრომის, ივანოვოს, უგლიჩის, სუზდალისა და ვოლოგდის გავლით. 25 ივნისს ისინი იაროსლავლისკენ გზას მოსკოვში დაადგებიან. ვარაუდობენ, რომ მოძრაობის ყველაზე მაღალი სიჩქარე ცალკეულ მონაკვეთებზე საათში 92 კმ იქნება. სპორტსმენები „ვოლგებით“ გამოვლენ. ყოველივე ამაზე საუბარი იყო „ნედელიას“ რედაქციაში 15 ივნისს გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

ფეხბურთი

## მეხუთე და ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა...

— წარსული უკვე დავიწყებას მიეცა. ახლა მხოლოდ მომავლისთვის უნდა ვიზრუნოთ, — განაცხადა გფრ-ის ნაკრების მწვრთნელმა ჰ. შიონმა მას შემდეგ, რაც მისმა შეგირდებმა ევროპის ჩემპიონატში პირველი მატჩი მოუგეს ინგლისის გუნდს. ამავე აზრისაა იგი ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გამარჯვების შემდეგ და 18 ივნისის გადამწყვეტი მატჩის წინ, რომელიც ბრიუსელში უნდა გაიმართოს. ამ მატჩში სსრ კავშირისა და გფრ-ის ფეხბურთელები შეხვდებიან ერთმანეთს. მწვრთნელი დაფიქრებულია, მიუხედავად იმისა, რომ ამას წინათ საბჭოთა გუნდმა თავის მომავალ მეტოქესთან მიუნჰენის სტადიონზე შეხვედრა წააგო ანგარიშით 1:4.

შიონი არ ცდება. ფიქრი მომავალზეა საჭირო და არა წარსულზე. ნეორე შეხვედრა ინგლისელებმა უკვე თანაბარ დონეზე ჩაატარეს გფრ-ის გუნდთან. დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელებმა მთელი მატჩის მანძილზე მხოლოდ ერთხელ შექმნეს საგოლე მომენტი მეტოქის კართან...

გფრ-ის ნაკრებმა ყველაზე დიდ წარმატებას 1954 წელს მიაღწია, როცა მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მას შემდეგ დასავლეთგერმანელები ერთ-ერთი მოწინავენი არიან მსოფლიო ფეხბურთში. 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მათ მხოლოდ შეუპოვარ ბრძოლაში წააგეს ფინალური მატჩი ინგლისელებთან. ოთხი წლის შემდეგ მექსიკაში გფრ-ის ნაკრებმა ასევე ბრწყინვალედ ითამაშა. იქ მან ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა და მაყურებელს რაციონალური თამაში, კარგი დისციპლინა უჩვენა.

— ასეთი შეხმატკბილებული ანსამბლი ჯერ არ გვყოლია, — ამბობს დღევანდელ გუნდზე შიონი, რომელიც აგერ უკვე ოცი წელია ნაკრებთან მუშაობს.

ამ ხუთი წლის წინ შიონმა თამამად დააწინაურა მანამდე თითქმის ყველასთვის უცნობი მიულერი, გრაბოვსკი და ფოგტსი. სამივე კარგად გამოვიდა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში. შარშან მწვრთნელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჰიონესს, კრემერსსა და ბრაიტნერს. სამივემ მშვენივრად ითამაშა ინგლისისა და სსრ კავშირის გუნდებთან მატჩებში.

საბჭოთა გუნდთან ფინალურ მატჩში ითამაშებენ:

ძირითადი მეკარე — 28 წლის მაიერი, „ბაიერნის“ კარის გამოცდილი დარაჯი. მისი კოლეგა, 26 წლის კლეფი „ბორუსიაში“ თამაშობს;

მარჯვენა ნაპირა მცველი — 29 წლის ჰიოტგესი („ვერდერი“) ლონდონისა და მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილეა; დაცვის ცენტრში — გუნდის კაპიტანი, 27 წლის ბეკენბაუერი და 24 წლის შვარცენბეკი (ორივე — „ბაიერნი“). ბეკენბაუერი, რომელიც ერთ დროს ნახევარდაცვაში თამაშობდა, ხშირად თავისი გუნდის იერიშების მოთავეა. იგი მეტოქის საჯარიმო მოედანთანაც ბევრჯერ გვინახავს. ასეთ დროს კაპიტანს დაცვაში კარგად ცვლიან ნახევარმცველები — ან ჰიონესი („ბაიერნი“), ან ვიმერი („ბორუსია“).

ბოლო მატჩებში მარცხენა მცველად გამოდის ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე, 20 წლის ბრაიტნერი („ბაიერნი“).

ბრწყინვალე ფეხბურთელია 28 წლის ნახევარმცველი „ბორუსიიდან“ ნეცერი. იგი, პირველ ყოვლისა, ბურთით მოძრაობისას უდიდესი სისწრაფით გამოირჩევა.

გფრ-ის ნაკრების მწვრთნელს მიაჩნია, რომ უგარემარბებოდ ფეხბურთი სიმძაფრეს კარგავს. ამიტომ დასავლეთ გერმანიის გუნდში გარემარბებს ტრადიციული მანერით თამაშობენ: მარჯვენა — 27 წლის ჰაინკესი („ბორუსია“), მარცხენა — 23 წლის კრემერსი („შალკე 04“). ორივეს დიდი სისწრაფე აქვს და ორივე ძალიან მოძრავია.

მწვავე იერიშებისთვის გუნდში ჰყავთ 26 წლის მიულერი („ბაიერნი“). მის ანგარიშზე ნაკრების 40 მატჩში 49 გოლი მოდის. ეს ცენტრალური თავდამსხმელი გამოირჩევა საგოლე პოზიციის სწორად არჩევისა და, რაც მთავარია, მისი კარგად გამოყენების უნარით.

შიონის განკარგულებაში არიან: მცველები — 20 წლის ბონჰოფი („ბორუსია“) და გამოცდილი ფოგტსი („ბორუსია“), რომელიც რამდენიმე ხანს ტრავმის გამო არ თამაშობდა, აგრეთვე, თავდამსხმელები — 24 წლის კეპელი („შტუტგარტი“) და გრაბოვსკი („აინტრახტი“), რომელიც ტრავმის შემდეგ განიკურნა და ახლა ისევ კარგ ფორმაშია. ნახევარფინალში გრაბოვსკი მეორე ტაიმში გამოვიდა მინდორზე.

18 ივნისს გფრ-ისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები ერთმანეთს მეხუთედ შეხვდებიან. ორჯერ (1955 წ.) გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა, ორჯერ კი გფრ-ის გუნდმა (1966 და 1972 წ.წ.). აქედან მხოლოდ ერთი შეხვედრა იყო ოფიციალური. ახლა კი ამ გუნდების მატჩზე დამოკიდებულია ევროპის მეოთხე ჩემპიონატის ოქროსა და ვერცხლის მედლების ბედი.

ა. ლევინსონი.
(საკდესის კორ.).

ბონი.




კურსკში მიმდინარე კარტინგში X პირად-გუნდური საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპი. სტარტზე გამოვიდნენ რსფსრ-ს, ბელორუსიის, საქართველოს, უკრაინის, ესტონეთის, ყაზახეთის, ლიტვის სპორტსმენები.

პირველი ეტაპის შემდეგ ლიდერობენ კურსკისა და მოსკოვის ოლქის სპორტსმენები.

• • •

სურათზე: რსფსრ-ს წლევანდელი ჩემპიონი 175 კბ სმ მოცულობის-ძრავიანი მიკროავტომობილებით რბოლაში, სპორტის ოსტატი ვ. ორეხოვი (№ 5).

ო. სიზოვის ფოტო.
(საკდესი).

## რვიდან რვა ქულა!

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური სპორტკომბინატის საცურაო აუზში გუშინწინ დამთავრდა წყალბურთელთა საკავშირო პირველობის I ტური „ა“ კლასის გუნდების იუნიორთა შორის. თბილისის ქვეჯგუფში თამაშობდნენ მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი, „ტორპედო“ (მოსკოვი), „დინამო“ (თბილისი), „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) და „დინამო“ (ალმა-ათა). მეორე ქვეჯგუფში შევიდნენ „დინამო“ (კიევი), სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი, „ბალტიკა“ (ლენინგრადი), კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო), „დინამო“ (მოსკოვი).

მშვენივრად ითამაშეს თბილისელმა იუნიორებმა. მათ დამაჯერებლად დაამარცხეს ყველა მეტოქე, 8-დან 8 ქულა მოიპოვეს და ქვეჯგუფში I ადგილი დაიკავეს. თბილისელმა წყალბურთელებმა დაამარცხეს მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი — 7:2, „ტორპედო“ — 10:5, „სპარტაკი“ — 7:4, ალმაათელი თანაკლუბელები — 3:1. ჩვენებს ბურთების საუკეთესო ბალანსიც აქვთ — 27:12.

საქართველოს იუნიორები კარგად თამაშობდნენ ყველა რგოლში. ისინი მეტოქეებს აშკარად სჯობდნენ საერთო ფიზიკური მომზადებითაც, ცურვითაც, ტაქტიკითაც. სხვათა შორის, ამ ახალგაზრდებიდან უმეტესობამ უკვე დაიმკვიდრა ადგილი უფროსების გუნდში. მაგალითად, ნ. ერაძე, ა. შატალინი, ო. იოსელიანი, ვ. არუთინოვი უკვე საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობენ და ამას წინათ მოსკოვში გამართულ საერთაშორისო ტურნირშიც თამაშობდნენ. სულ ახლახან თბილისის „დინამოს“ იუნიორებმა პირველად მოიპოვეს თავიანთი საზოგადოების ჩემპიონობა. ოსტატობის ზრდის საწინდარია სხვადასხვა შეჯიბრებაში ხშირი მონაწილეობა — ამ ტურნირებში მდიდრდება ახალგაზრდების გამოცდილება, მტკიცდება ნებისყოფა.

იუნიორებს ბევრი საინტერესო ასპარეზობა ელით — ითამაშებენ ირანში, მონაწილეობას მიიღებენ „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატში და სსრ კავშირის პირველობაში უფროსებს შორის.

ახალგაზრდა თბილისელ წყალბურთელთა წარმატებაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის მათ ახალ მწვრთნელს — სპორტის ოსტატს, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს, რსფსრ-ს დამსახურებულ მწვრთნელს გ. ხარებოვს. სპორტის მოყვარულებს კარგად ახსოვთ წყალბურთელი გ. ხარებოვი თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში. შემდეგ იგი მოსკოვში გადავიდა, სადაც ჯერ თამაშობდა, მერე კი ადგილობრივი „დინამოს“ ახალგაზრდა წყალბურთელებს წვრთნიდა. ახლა იგი თბილისში მოღვაწეობს.

თბილისის „დინამოს“ იუნიორთა გუნდი ამ შემადგენლობით თამაშობდა: ი. იანოვსკი, ა. ლოჟკოევი, ა. შატალინი, თ. ლორთქიფანიძე, ვ. არუთინოვი, ო. იოსელიანი, ნ. ერაძე, ვ. შაიდულოვი, რ. ქუთათელაძე, ა. მატიუშკინი, დ. ივჩენკო.

ქვეყნის ჩემპიონატის მეორე, დასკვნითი ტური ნოემბერში მოსკოვში გაიმართება. ბ. ქვათაძე.

### კალეიდოსკოპი

პოტსდამი, 15 ივნისი. 100 მეტრზე თარჯრბენში დღეს აქ მსოფლიო რეკორდი დაამყარა 22 წლის ანელი ერჰარდმა — 12,5 წამი. მან 0,1 წამი ჩამოაკლო თავისი მეგობრისა და თანაგუნდელის, ასევე გდრ-ის ნაკრების წევრის კარინ ბალცერის მარმანდელ მიღწევას.

ფრანკ ზიბეკმა გდრ-ის რეკორდი დაამყარა 110 მეტრზე თარჯრბენში — 13,3 (წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგის გამეორება).

## ბოლო ტურის წინ

ვილნიუსი, 15 ივნისი. „ბალტიის თასზე“ ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირის ფინალურ ჯგუფში, სადაც I-IV ადგილები თამაშდება, სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა დაამარცხა შვეციის ეროვნული გუნდი — 20:12. გფრ-ის ხელბურთელებმა სძლიეს გდრ-ის ნაკრებს — 12:11.

ბოლო ტურის წინ გფრ-ის ნაკრებს 4 ქულა აქვს. სსრ კავშირისა და გდრ-ის ხელბურთელებმა 2-2 ქულა დააგროვეს. შვედებს ჯერ ერთი ქულაც არ აუღიათ.

ჯგუფში, სადაც V-VIII ადგილები თამაშდება, დანიელები სსრ კავშირის II ნაკრებთან დამარცხდნენ — 19:24, ფინელები — პოლონელებთან — 11:21.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის“
სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 71)

72

სსრ კავშირის
ჩემპიონატი
(I ჯგუფი)
18 ივნისი
„ლოკომოტივი“ (თბილისი)
— საავიაციო ინსტიტუტი
(მოსკოვი)
დასაწყისი 16 ს.

თბილისი
სპორტულ
[illegible]

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. 17 ივნისი. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი). ასკ-ს სტადიონი. აქ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია). „ისნის“ სტადიონი. „ისანი“ (თბილისი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი). მატჩების დასაწყისი 12 ს.

II ჯგუფი

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 14 ივნისისთვის

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ცისკარი“ (სიღნაღი) | 12 | 8 | 2 | 2 | 14—5 | 18 |
| „ავტომობილისტი“ (ცხინვალი) | 11 | 8 | 0 | 3 | 33—8 | 16 |
| „ვაზი“ (შრომა, გურჯაანის რაიონი) | 11 | 8 | 0 | 3 | 25—10 | 16 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 12 | 6 | 4 | 2 | 20—12 | 16 |
| „შირაქი“ (წითელი წყარო) | 11 | 6 | 2 | 3 | 12—11 | 14 |
| „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) | 12 | 5 | 2 | 5 | 23—17 | 12 |
| „მევენახე“ (ბოლნისი) | 11 | 4 | 4 | 3 | 16—15 | 12 |
| „ვარძია“ (ასპინძა) | 12 | 5 | 1 | 6 | 16—16 | 11 |
| „მევენახე“ (ვაზისუბანი) | 11 | 4 | 3 | 4 | 16—26 | 11 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 10 | 4 | 2 | 4 | 14—13 | 10 |
| „არაგვი“ (დუშეთი) | 11 | 4 | 2 | 5 | 14—14 | 10 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 11 | 3 | 4 | 4 | 10—13 | 10 |
| „ბახტრიონი“ (ახმეტა) | 10 | 3 | 2 | 5 | 6—13 | 8 |
| „შევარდენი“ (თბილისი) | 10 | 2 | 2 | 6 | 9—15 | 6 |
| „კოლმეურნე“ (ტიბაანი) | 10 | 2 | 2 | 6 | 13—21 | 6 |
| „ბარისი“ (თეთრი წყარო) | 10 | 2 | 0 | 8 | 10—30 | 4 |
| „მშენებელი“ (წალკა) | 7 | 1 | 0 | 6 | 7—19 | 2 |

საქართველოს პირველობა

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მაღაროელი“ (ჭიათურა) | 10 | 8 | 1 | 1 | 34—8 | 17 |
| „ჩიხურა“ (საჩხერე) | 11 | 7 | 3 | 1 | 25—8 | 17 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 10 | 6 | 3 | 1 | 15—5 | 15 |
| „განახლება“ (ადიგენი) | 11 | 7 | 1 | 3 | 19—12 | 15 |
| „ამირანი“ (ოჩამჩირე) | 11 | 6 | 1 | 4 | 15—9 | 13 |
| „დინამო“ (ქუთაისი) | 9 | 5 | 2 | 2 | 21—8 | 12 |
| „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) | 11 | 6 | 0 | 5 | 16—15 | 12 |
| „იმერეთი“ (თერჯოლა) | 11 | 5 | 2 | 4 | 14—13 | 12 |
| „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) | 11 | 4 | 3 | 4 | 26—12 | 11 |
| ხდკ (სამტრედია) | 10 | 3 | 4 | 3 | 14—16 | 10 |
| „კომეტა“ (ფოთი) | 9 | 3 | 3 | 3 | 12—9 | 9 |
| „დიოსკურია“ (სოხუმი) | 12 | 4 | 1 | 7 | 21—19 | 9 |
| „მზიური“ (გალი) | 11 | 4 | 1 | 6 | 5—15 | 9 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 10 | 3 | 2 | 5 | 12—14 | 8 |
| „განთიადი“ (აბაშა) | 12 | 3 | 1 | 8 | 7—20 | 7 |
| „კახაბერი“ (ხელვაჩაური) | 11 | 1 | 1 | 9 | 12—51 | 3 |
| „სკური“ (წალენჯიხა) | 10 | 0 | 1 | 9 | 6—40 | 1 |

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.
უე 02573